ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№49. 4926155001**

თარიღი:**04/06/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის

ნათია მელაძის შვებულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.. **ნათია მელაძეს -** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2026 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 8 სამუშაო დღე, 2026 წლის 17 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით.

2.არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება, დროებით დაეკისროს ამავე განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნაზი ბენიძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა ნათია მელაძისათვის, ხოლო ნაზი ბენიძისათვის თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებული სხვაობის დანამატის სახით გაცემა.

4 . ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა: TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM